

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ბოლო დროს გატარებული სამართლებრივ-ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების შედეგად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის წარმოების კომპეტენცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურიდან გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულმა შესაძლებელი გახდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრისა და საჯარო რეესტრის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქცევა, ამ ორი რეესტრის მონაცემთა ბაზების ურთიერთმისაწვდომობა. სამართლებრივ და ტექნიკურ საკითხებზე მუშაობის პროცესში პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოქმედ, სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებობს ხარვეზები, რომელთა შესწორებაც აუცილებელია.

ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოში არასამეწარმეო საქმიანობის სფეროში შესაბამისი ორგანოების მიერ ინფორმაციის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დაზუსტება და პროცედურების კიდევ უფრო დახვეწა, საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

კანონის მოქმედი რედაქციით არ არის განმარტებული და გამიჯნული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, ცვლილებით დასაშვები გახდა, არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია ნოტარიუსის ჩარევის გარეშე, ანუ შესაძლებელი გახდა გარიგებაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება მარეგისტრირებელ ორგანოში, განიმარტა ამონაწერის ზუსტი დეფინიცია, მოცემული ცვლილებით, ასევე უქმდება მარეგისტრირებელ ორგანოში წარმომადგენლობაზე და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუშის წარდგენის სავალდებულობა..

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე (შემცირდება).

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.